

**პრეტენზიის დაკვალიფიცირების კრიტერიუმები**

პრეტენზიად დაკვალიფიცირდება მომხმარებლის განცხადება/გამოხატული უკმაყოფილება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც განცხადება/გამოხატული უკმაყოფილება მოიცავს შემდეგი კატეგორიის მოთხოვნებიდან სულ მცირე ერთ-ერთს:

• **(კატეგორია 1)**

განცხადება უკავშირდება სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე მზღვეველის გადწყვეტილებას და მოთხოვნილია მისი სრულად ან ნაწილობრივ ცვლილება, შესაბამისი დასაბუთების წარმოდგენა ან/და სხვა მიზნით გადახედვა;

• **(კატეგორია 2)**

განცხადება უკავშირდება სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში/მისი დასრულების შემდგომ, მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზის აღმოფხვრას ან/და სხვა მასთან დაკავშირებულ საკითხთან მიმართებით უკმაყოფილებას, მათ შორის, უკმაყოფილება ცხელი ხაზის საქმიანობასთან, მზღვეველის თანამშრომლის/წარმომადგენლის საქმიანობას ან/და მის მიერ გაწეულ კონსულტაციასთან დაკავშირებით და სხვ.;

• **(კატეგორია 3)**

განცხადება უკავშირდება მოთხოვნას ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდებასთან/ მიუწოდებლობასთან დაკავშირებით;

• **(კატეგორია 4)**

განცხადება უკავშირდება ნებისმიერ სხვა სახელშეკრულებო მოთხოვნას (გარდა წინა კატეგორიებით გათვალისწინებული შემთხვევებისა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე პირველადი მოთხოვნისა).

გენერალური დირექტორი ლაშა ხახუტაიშვილი

